



Date 15 December 2016

(Georgisch)

პატივცემულო ბატონო/ ქალბატონო,

თავშესაფართან დაკავშირებული თქვენი მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული. გასაგებია, რომ თქვენ რაც შეიძლება სწრაფად გსურთ გარკვევა, თუ რა უნდა მოიმოქმედოთ შემდგომში. ამ წერილში ნახავთ, თუ რა არის მოსალოდნელი ამის შემდეგ.

თქვენ არ მოგეცემათ საცხოვრებელი ადგილი

ვინაიდან თქვენ არ მიგიღიათ ნიდერლანდებში ცხოვრების უფლება, ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა დატოვოთ ნიდერლანდები. თქვენ აღარ გაქვთ უფლება იცხოვროთ ლტოლვილთა ცენტრში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასაჩივრებთ სასამართლოში თქვენს მიერ მიღებულ უარყოფით პასუხს, მაინც ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დატოვოთ საცხოვრებელი ადგილი. ლტოლვილთა ცენტრში შეგიძლიათ დარჩეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ რეგისტრირებული ხართ ევროკავშირის სხვა ქვეყანაში და მანამ, ვიდრე დაგაბრუნებენ იმ ქვეყანაში.

ნიდერლანდების დატოვება

თქვენ თვითონ ხართ პასუხისმგებელი ნიდერლანდებიდან წასვლაზე. დაბრუნების და რეპატრიაციის სამსახურს (DT&V) შეუძლია დაგეხმაროთ უკან დაბრუნებაში.

ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა

ნიდერლანდების დატოვების შემდეგ თქვენ ორი წლით გეკრძალებათ შემოსვლა ქვეყანაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ორი წლის განმავლობაში თქვენ არ გაქვთ უფლება შემოხვიდეთ ნიდერლანდებსა და ევროკავშირის სხვა ქვეყანაში. თუ მაინც შეხვალთ ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში, მაშინ შესაძლოა დაგეკისროთ ფულადი ჯარიმა - მაქსიმალური, 4100 ევროს ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვერ შეძლებთ ჯარიმის გადახდას, შესაძლოა დაგაპატიმრონ.

უცხოელთა პატიმრობა

თქვენ ვალდებული ხართ საკუთრი ნებით დატოვოთ ქვეყანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დაგაპატიმრონ, როგორც ქვეყანაში არალეგალურად მყოფი უცხოელი. პატიმრობის დროს თქვენ იძულებით დაგაბრუნებენ სამშობლოში.

Information Department

Date

15 December 2016

Our reference

რეგისტრაცია ევროკავშირის სხვა ქვეყანაში

თუ თქვენ ადრე რეგისტრირებული ხართ ევროკავშირის სხვა ქვეყანაში, პრინციპში, ის ქვეყანა არის პასუხისმგებელი თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე. ნიდერლანდები რაც შეიძლება სწრაფად დაგაბრუნებენ იმ ქვეყანაში.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა

სამწუხაროდ, ზოგჯერ ლტოლვილები ლტოლვილთა საცხოვრებელ ცენტრსა და მის მიდამოებში არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და აწუხებენ მოსახლეობას. ასეთ დროს, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა მიმართ მაშინვე იქნება მიღებული გარკვეული ზომები, მაგალითად, თქვენ შეიძლება აგეკრძალოთ ამ მიდამოებში ყოფნა, შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთა ან პატიმრობა.

იმედი მაქვს, საკმარისი ინფორმაცია მოგაწოდეთ .

პატივისცემით,

კ.ჰ.დ.მ. დაიკჰოფ, (Dr. K.H.D.M. Dijkhoff)

უშიშროების და იუსტიციის მინისტრის მოადგილე

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ:

www.ind.nl

www.coa.nl

www.dienstterugkeerenvertrek.nl

www.iom-nederland.nl